

# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:

WWW.opentext.ge/menora

სამ რამეს დააკვირდი და ცოდვას არ ჩაიდენ: როგორ გაჩნდი, სად მიდიხარ და ვის ჩააბარებ ანგარიშს. საიდან მოხვედი? — მყრალი წვეთისგან. საით მიდიხარ? — მტერის, მატლის და ჭიათა საუფლოში. ვის ჩააბარებ ანგარიშს? — დიდზე დიდ ხელმწიფეს წმიდათა-წმიდა მეუფეს. კურთხეულია იგი.

“ფირკე ავით” 3,1

ებრაული გაზეთი საქართველოში	“מנורה” עיתון יהודי בגורגיה	“МЕНОРА” ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ
--------------------------------	-----------------------------------	--

აბჰისტო  
(აბი)  
15-31  
№15-16 (303)  
(5769 წელი)  
2009 წელი  
ფასი 50 თეთრი

# מנורה

## ქართველ ებრაელთა ძამაცობის 40 წლისთავი



40 წლის წინათ — 1969 წლის აგვისტოში — ქართველ ებრაელთა ძამაცობა გადადგა ძამაცური ნაბიჯი — 18 ქართველი ებრაელის მიერ ტაეროში ტაგზაენლობა წერლობა, სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას.

ამ მოძრაობის სათავეში თანამედროვე მათათაბუ — შაბათა ვლაშვილი იდგა.



# თვრამეტი თჯანის წერილი ტეროს –



შაგათა ელაშვილი

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმსარებლის უფლებათა დაცვის კომისიის

ჩვენ, საქართველოს 18 მორწმუნე ებრაელის ოჯახი, გთხოვთ, დაგვეხმაროთ ისრაელში გადასახლებაში. ისრაელში ნათესავების მიერ საცხოვრებლად მიწვეულმა ყოველმა ჩვენგანმა სსრკ-ს უფლებამოსილ ორგანოებში მიიღო სათანადო ანკეტები და შეავსო კიდეც ყოველი ჩვენგანი სიტყვიერად დაარწმუნეს, გამგზავრებაში ხელი არ შეგეშლებათო. ნებართვის, ყოველ ცისმარე დღე, მომლოდინებმა გავეიდეთ რაც რამ გვეზავდა და თავი დავახებეთ სამსახურს. მოლოდინში გაირბინეს თავებმა, ზოგი კი წლებით ელოდება ნებართვას. გამგზავრების უფლებას კი არა და არ გვაძლევდნენ. გავგზავნეთ ასობით წერილი, დეკემა. ეს წერილები, დეკემბრით ისე გაქრნენ, როგორც ცრემლი უდაბნოს ქვიშაში. გვესმის მხოლოდ სიტყვიერად ნათქვამი უარი. ჩვენ ვერ ვხედავთ წერილობით პასუხს. არავინ არაფერს არ გვიხსნის. ჩვენი ბედი არავის არ აღეგნება.

ჩვენ მანინც ველოდებით, რამეთუ გმწამს.

ჩვენ, საქართველოს 18 მორწმუნე ებრაელის ოჯახი, საჭიროდ მივიჩნევთ აგვისტოს, თუ რატომ გვინდა ისრაელში გადასახლება: ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ სამართლიანად ხორციელდება ეროვნული პოლიტიკა სსრკ-ში, ამ პოლიტიკის თეორიული საფუძვლები ჯერ კიდევ სახელმწიფოს მესაბიჯელები – ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა. რამდენი ხანია ქვეყანაში აღარ არის ებრაელთა დარბევები, პროცენტული ნორმები და „ზინდარობის ფარგლები“ ებრაელებს შეუძლიათ დასახლდნენ იქ, სადაც მოესურვებათ, დაიკაონ ნებისმიერი

## ისრაელის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პატივცემულ იოსებ ტაქოას

ნიუ-იორკი, აშშ

ამ წერილს თან ვურთავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სახელზე გაგზავნილ ჩვენს წერილს. გთხოვთ ყველაფერი ილღონოთ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში მივიღოთ ისრაელში გამგზავრების ნებართვა.

ამასთან ერთად გთხოვთ, მიიღოთ ზომები თანდართული წერილის გაეროს წევრებს შორის გასავრცელებლად და პრესაში გამოსაქვეყნებლად, ხელმძნერთა მთელი სიის დაუფარავად – გვარებითა და სახელებით. თუ საჭირო იქნა, შეგიძლიათ ჩვენ-ჩვენი მისამართიც მიუთითოთ, რადგან შიშის დრო წავიდა – დადგა დრო მოქმედებისა.

და თუ არა, მე ჩემთვის, მამ, ვინ?  
და თუ არა დღეს, მამ, როდის?

6. აგვისტო, 22 აბი

1. ელაშვილი შაგათა მიხაილის-ძე ქ. ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. 53
2. ელაშვილი მიხაილ შაგათას-ძე ქ. ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. 33
3. ელაშვილი ისრაელ მიხაილის-ძე ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. 31
4. ელაშვილი იაკობ არონის-ძე ქ. ქუთაისი, მიაკოვსკის ქ. 5
5. სინინაშვილი მორდეს ისაკის-ძე ქ. ქუთაისი, მახარაძის ქ. 19
6. ჩიკვაშვილი მიხაილ სამუალის-ძე ქ. ქუთაისი, ხახანაშვილის ქ. 38
7. ჩიკვაშვილი მოშა სამუალის-ძე ქ. ქუთაისი, ნერეთლის 32
8. გაგაჩაშვილი მიხაილ რუხანის-ძე ქ. ქუთაისი, კლარა ცეცკინის ქ. 9
9. ელაშვილი იაკობ ისრაელის-ძე ქ. ქუთაისი, ნერეთლის ქ. 54
10. მიხაილაშვილი სანიმ არონის-ძე ქ. ფოთი, ცხაკაიას ქ. 57
11. მიხაილაშვილი არონ ალბერტ სანიმის-ძე ქ. ფოთი, ცხაკაიას ქ. 57
12. მიხაილაშვილი არონ სანიმის-ძე ფოთი, ჯაფარიძის ქ. 18
13. თათრუაშვილი სანიმ ლავითის-ძე ქ. ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. 42
14. ნინუაშვილი ისრო ზაქროს-ძე ქ. ქუთაისი, შაუმიანის 1 შესახვ. 5
15. ნინუაშვილი ეზრემ ისროს-ძე ქ. ქუთაისი, შაუმიანის 1 შესახვ. 6
16. იაკობაშვილი ბანსიონ შალვას-ძე ქ. თბილისი, 4. მოკითხვამდე (ცხოვრობდა ბარნოვის ქ. 91)
17. გაბონიაშვილი მიხაილ რაფაელის-ძე ქ. ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. 53
18. თათრუაშვილი მიხაილ შალომის-ძე ს. კულაში, სტალინის ქ. 114.

1969 22 აბი – 6 აგვისტო

თანამედებობა – მინისტრისაც კი. ამის შესანიშნავი მაგალითია ვ. დიშოცი – სსრკ მინისტროს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. უმადლეს საბჭოში ებრაელი დეპუტატიც კი არის – „ლიტერატურა-ნაია გაზეტას“ რედაქტორია ა. ჩაკოვსკი. ასე, რომ სსრკ დატოვებას რასობრივი დისკრიმინაცია არ გვაიძულებს. იქნებ, რელიგიური? არა! ქვეყანაში ნებადართულია სინაგოგების არსებობა, არც სახლში ღოცვას გვიშლიან. ჩვენ ისრაელისთვის ვლოცულობთ. რადგან ერთგულნი ვართ ანდერძისა: „დამიწდეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო, იერუსალიმ!“ ჩვენ, მორწმუნე ებრაელები, მივიჩნევთ, რომ არ არსებობს ურწმუნო ებრაელი ისევე, როგორც არ არსებობს რწმუნა ტრადიციითა გარეშე.

რომელი ღვეგინეროა ალყა იერუსალიმისა დიდხანს გაგრძელდა. კარგად არის ცნობილი, თუ რა საშინელებანი მოსდევს ალყას – შიმშილი, უწყობობა, ავადმყოფობა და სხვა ათასი რამ. მიუხედავად ამისა, ებრაელები მანინც არ განუდგნენ თავიანთ რწმუნას – მტერს არ დაუნებდნენ, მაგრამ ადამიანის ძალაც არ

არის განუსახლებელი – ბარბაროსები წმინდა ქალაქში შეიჭრნენ. ათასწლეულთა წინ ასე გაცემტვერდა წმინდა ტაძარი და მასთან ერთად ებრაული სახელმწიფო, მაგრამ ერი გადარჩა. თუმცადა, იმ ებრაელთ, რომელთაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლოთ, მტერს რომ არ დაუნებდნენ, ერთმანეთი ამხოცეს. დარჩნენ სისხლისაგან დაცვლილი დაჭრილები, მოხუცები, ქალები, ბავშვები.

ვინც გაცლა ვერ შესძლო, ადგილზე დახოცეს.

ვინც გაცვალა, უდაბნოში წავიდა. ვინც უდაბნოში სიცოცხლე შეინარჩუნა, სხვა ქვეყნებამდე ჩააღწია და იქ დაიდო ბინა, რათა რწმუნით ეცხოვრა, ელოცნა და უკეთეს დროს დაღვრილიყო.

ამ დღიდან ებრაელებს ლუკმაპური სხვათა სამფლობელოებში იმ ადამიანებს შორის უნდა ეძებნათ, რომლებსაც სძულდათ. დამცირებულნი, შეურაცხყოფილნი, სიძულვილის რკალში მოქცეულნი დეე-

ნილნი მწარე ლუკმას სჭამდნენ და შეილებს ზრდიდნენ. ხელბეზე კოურები მორეოდით, სულში კი – სისხლი, მაგრამ გადარჩნენ, ერი არ გადაშენდა. და როგორი ერი! ებრაელებმა ქვეყანას მისცეს რწმუნა და რვეოლუციონერები, ფილოსოფოსნი და სწავლულნი, მდიდარი და ბრძენნი, ბავშვით სუფთა გულის გენიოსები და ბავშვები, რომლებიც ხანდაზმულთა დარად სჭერტენენ სამყაროს. არ არის ცოდნის ისეთი სფერო, არ არის ლიტერატურის, ხელოვნების დარგი, რომელშიც ებრაელობას თავისი წვლილი არ შეეტანოს. არ არის ქვეყანა, თუ მან ებრაელი შეიფარა, ებრაელს სამაგიერო არ მიეწვლით.

და ყველაფერ ამის სანაცვლოდ რას ეღებულობენ ებრაელები?

თუ სხვები ასე თუ ისე ეწვოდნენ ცხოვრების ჭაბანს, ებრაელები შიშით შეჭურვდნენ მომავალს. და როდესაც სხვებისთვის დგებოდა ჟამთა სიავე, ებრაელებმა იცოდნენ: ახლოდებოდა ჟამი აღსასრულის.

და ისინი ეძებდნენ თავშესაფარს, ან ქვენიდან გარბოდნენ.

და ის, ვინც გარბოდა, ცხოვრებას თავიდან იწყებდა.

და ის, ვინც კარგად იმალებოდა, სხვა, უკეთეს დროს ელოდა.

ებრაელთა წინააღმდეგ ყველა გაერთიანდა! ვინ არ სდევნიდა ღვთის რწმულერს!

საკმარისი იყო უნიჭო გენერლებს ომი წავეოთ, დამარცხების მიხეხს მყისვე ებრაელთა შორის პოპულობდნენ. საკმარისი იყო პოლიტიკურ ავანტიურისტს ხალხისათვის მიცემული უამრავი პირობა შეესრულებინა, ბრალეულს ებრაელთა შორის პოპულობდნენ. ებრაელები იღუპებოდნენ ესპანეთის ინკვიზიციის წამებით და ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. ანტიისემიტები განათლებულ საფრანგეთში დრეიფუსის საქმეზე ყაყანებდნენ, უწიგნურ რუსეთში – ბეილისის საქმეზე.

ებრაელებს კი ყველაფერი უნდა აეტანათ.

არადა, იმის საშუალებაც ჰქონდათ, ეცხოვრათ ისე, როგორც ცხოვრობდნენ სხვები. ეს იმ შემთხვევაში, თუ რწმუნას შეიცვლიდნენ. ზოგიერთი ასე მოიქცა – სულმოკლენი ყველგან არიან, მაგრამ მილიონობით ებრაელმა სიცოცხლე ტანჯვაში გაატარა, მოწამებრივი სიკვდილიც იწვინა და თავის რწმუნას არ განუდგა.

მიუსაფარი დააბოჯებდნენ დედამიწაზე, მაგრამ თავიანთი დმერტის წიადს მანინც არ სტოვებდნენ.

ჩვენს ძარღვებში მათი სისხლი მიმორბის, ჩვენ მათი ცრემლებით ვტრით.

წინასწარმეტყველება ახდა: ფერფლადქცეული ისრაელი ხელახლა იშვა.

არ დავივიწყებთ იერუსალიმი.

დღეს კი იერუსალიმს ჩვენი ხელები სჭირდება.

ჩვენ თვრამეტნი ვართ. ამ წერილს 18




ისრაელ ელაშვილი



მიხაილ გაბონიაშვილი



იაკობ ელაშვილი



მიხაილ თათრუაშვილი

## აი ისინი, თანამედროვე



# ქართველ ებრაელთა დიდი სარეზერვო ისრაელის არმიას

## 1. გოლანის მაღლობზე




ისრაელის არმიას ქართველი ებრაელების არაერთი თაობა აღიზარდა და გამოიწიროს. დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართველი ებრაელები ისრაელის არმიისადმი ყოველთვის დიდ პატივისცემას გამოხატავენ. ამას ადასტურებს თუნდაც ის ურთიერთობა, რომელიც საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესსა და მის პრეზიდენტს — მოშე (მიშიკო) მირილაშვილს ჰქონდა ისრაელის არმიასთან, ამ ფოტოზეც ამ ორიოდე წლის წინათ სამხედრო ნაწილში მისი სტუმრობა აღბეჭდილი. ეს სტუმრობა კონგრესისა და მისი პრეზიდენტის „ცაპალისადმი“ განუყოფელი დაუკავშირდა.

8 ივლისს კი მოშე (მიშიკო) მირილაშვილის შეიღებმა — მიხეილ და გაბრიელ მირილაშვილებმა სირიის საზღვართან, გოლანის მაღლობზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში — „რემფე-71“-ის ბით ქნესეთში დიდებული მამის სულის საოხად სეფერ თორა შეაბრძანეს. სეფერ თორის შებრძანების ცერემონიაში მონაწილეობდნენ: სემკ-ის ვიცე-პრეზიდენტები: მიხეილ და გაბრიელ მირილაშვილები, რომან შალელაშვილი, იოსკა მამისთვალოვი, კონგრესის ადმინისტრაციული დირექტორი არონ ელაშვილი, რაბინები მოშე მიხელაშვილი, აბრამ აჯიაშვილი, იცხაკ მოძღვრისვილი, იაკობ გაგულაშვილი. აქვე იყვნენ „ჰამასის“ ტყვე ჯარისკაცის გილადა შალითის მშობლები, ცნობილი მკურნალი გაბი ელაშვილი, მომღერალი მორის ჯანაშვილი.

იყო მძლავრი, ხასილური სიმღერები. სეფერ თორა ჯარისკაცთა ხელიდან ხელში გადადიოდა, გაისმოდა გალობა.

დასასრულს გაიმართა 600 კაციანი სეყუდა.

(სემკ-ის „მომბის“ - ინფორმაციის საფუძველზე)



პოლკის უფროსი ავი ფელედი, გაბრიელ მირილაშვილი და იოსკა მამისთვალოვი

## მიხეილ მირილაშვილი გილადა შალითის მშობლებთან — ნოამ და ავივასთან ერთად



## 2. სადაზვერვო სკოლა-აკადემია

მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა — გია (გაბრიელ) და მერაბ (მენაშე) ელაშვილებმა დიდი საქველმოქმედო საქცია გასწიეს — ისრაელის არმიის მთავარი სადაზვერვო სკოლა-აკადემიის ბაზას, სადაც სწავლობს და ინვრთნება ასობით ისრაელელი კარისკაცი, დედის — ნანი (დინა) ელაშვილის სახელით სეფერ-თორა აჩუქეს.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვიდან ისრაელს ჩამოსულმა ოჯახის თითქმის ყოველმა წევრმა, ისრაელის ოფიციალურმა პირებმა, ისრაელისა, თუ სხვა ქვეყნებიდან მოწვეულმა სტუმრებმა, ისრაელის ქართველმა ებრაელებმა, ისრაელის არმიის მთავარმა რაზანუთმა, ისრაელელმა რაბინებმა და სხვ.

ეს ცერემონია მიმდინარე წლის 20 ივლისს გაიმართა, როცა ისრაელის მთავარი სადაზვერვო სასწავლო სკოლა-აკადემიის ბაზის ეზოში ორი პირთამდე ხალხით სავსე ავტობუსი შევიდა. ავტობუსებიდან 150-მდე ადამიანი გადმოვიდა. ამათ ჯერ აშდოდში გაბრიელ და მენაშე ელაშვილების სახლთან მოიყარეს თავი და აქ-

დან გაემგზავრნენ მთავარი სადაზვერვო აკადემიის ბაზისაკენ. მთლიანად ცერემონიაში 180 ადამიანი მონაწილეობდა.

ამ აქციაში ძალზე მნიშვნელოვანი გახლდა ისრაელის არმიის პოლკოვნიკის, რუსეთში ისრაელის ყოფილ სამხედრო ატაშეს ეფრაიმ მიხაელის (მიხელაშვილის)წველი. სწორედ ამიტომ გაზეთ „მენორა“-ს რედაქცია ბატონ **ეფრაიმ მიხაელის** ნაამბობს დაეყრდნო.

— **ბატონო ეფრაიმ, როგორ იყო ორგანიზებული მთავარი სადაზვერვო სკოლა-აკადემიისადმი ძმები გაბრიელ (გიორგი) და მერაბ (მენაშე) ელაშვილების მიერ სეფერ-თორის ჩუქების ცერემონია?**

— ყველაფერი იყო დაგეგმილი ძალიან ცხადად და კონკრეტულად. ისე, როგორც ეს ისრაელის არმიის ახასიათებს. დავიწყოთ იქედან, თუ როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სეფერ-თორის ჩუქების თაობაზე.

მოვლენები ასე განვითარდა: 17 ივლისს, გია, მერაბ და მაკა ელაშვილებმა გადაწყვიტეს თავიანთი დედის — ნანი (დინა) ელაშვილის სახელით შესწირონ სეფერ-თორა. მათ გვერდით იყო სიძე — რომან შალელაშვილი. იმ დღეს, პარასკევს, 17 ივლისს ქ-ნ ნანის ისრაელში ძალიან რთული ქირურგიული ოპერა-

ცია გაუკეთეს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ამით გახარებულმა შეიღებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ბევრი იდეა გაჩნდა, ძირითადი ბჭობა იყო იმაზე, თუ ვისთვის ერუქებინათ სეფერ-თორა: აშდოდის სალოცავისთვის, სკოლისათვის, თუ სხვა ქალაქის სალოცავისათვის.

**დროის პრობლემა**

კვირას, 19 ივლისს, ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, თუ ვისთვის გადაეცათ სეფერ-თორა. თუმცა, ერთი რამ გამოკვეთილი გახლდა: სეფერ-თორის ჩუქების საზეიმო ცერემონია უნდა გამართულიყო მომდევნო დღეს 20.07.09 — ორშაბათს. ჯერ არც საორგანიზაციო, მოსამზადებელი სამუშაო იყო დაწყებული, არც სტუმრები გვყავდა მოწვეული. ყველაფერი საღამომდე უნდა გაკეთებულიყო.

გია ელაშვილმა თავისი გადაწყვეტილება ნათესავს — ხახამ სიმონ ელიშაყაშვილს და მე გამოზიარა. მე ხომ ისრაელის არმიას მრავალი წელი ვავტარე, ლამის მთელი ცხოვრება. ამას გარდა, გიასა და მერაბის მამა — ისაკი ჩემი ბავშვობის მეგობარი გახლდა. ჩვენ კულამის სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ერთად ვინყებდით ცხოვრების გზას. მე გიას ვთხოვე დაეთვლიერებინა რამდენიმე სამხედრო ბაზა, სადაც სისტემატურად ლოცულობენ, ყოველ ორშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ყოველი დღე სასწავლო იკითხება სეფერ-თორა. პარალელურად საქმის კურსში ჩავაყენე ისრაელის არმიის მთავარი რაბინის რეზიდენცია, რამდენიმე სამხედრო ბაზა და ფონდი: „ისრაელის არმიას მეგობრები“, ესენი ის ადამიანები არიან, რომელთა გარეშეც ასეთი აქტი — არმიის განყოფილებაში სეფერ-თორის შეტანა, შეუძლებელია. ასეთ ცერემონიას თავისი წესი და კანონი აქვს, დიდი პროცედურის გავლაა საჭირო, რომელსაც რამდენიმე კვირა, ზოგჯერ თვეებიც კი სჭირდება.

— **ელაშვილების ოჯახი რაიმე წინაპირობებს თუ აყენებდა?**

— რასაკვირველია! გია (გაბრიელ) ელაშვილს ეწადა იქ, სადაც სეფერ-თორას გადასცემდა: პირველი: ყოველდღიურად ყოფილიყო მინიანი, მეორე: იქ უნდა ჰქვებოდათ სეფარდული მინაგით შედგენილი სეფერ-თორა და მესამე: ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც სეფერ-თორა სისტემატურად იკითხება: ყოველ ორშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და დღესასწაულებში.

**ადგილის შერჩევა**

— **როგორ შეირჩა ასეთი ადგილი?**

— 19 ივლისს გიამ თავის უფროს შვილთან, ისაკთან ერთად დაინყო ად-

გილის შერჩევა. ხახამ სიმონიც მასთან იყო და მეც. დავათვალთვალეთ აშდოდის რამდენიმე ლოცვა, რელიგიური სკოლა. შემდეგ ჩემი თხოვნით ისრაელის არმიის სადაზვერვო სკოლა-აკადემიის ბაზისაკენ გავემართეთ. აქ ისრაელის არმიის დაზვერვის მთავარი რაბინი, მაიორი დორონ ნეთანელი, ბაზის ოფიცრები და ხელმძღვანელობა გველოდა. გიამ და ოფიცრებმა ბაზა დაათვალიერეს, ლოცვა და ჯარისკაცების სასწავლებელი სკოლები ნახეს. შემდეგ გია ჩაფიქრდა - თვალები გაუბრწყინდა - მის ძმას — მერაბის ტელეფონზე ეთათბირა — და ვიგრძენი რომ მიიღო გადაწყვეტილება, სეფერ-თორა სწორედ სკოლა-აკადემიის ბაზისათვის გადაეცა. ეს მოხდა კვირას 19.07.09 საღამოს 17 საათზე. ესე იგი ხვალ — ერთი დღის შემდეგ შეებრძანებინათ სეფერ-თორა.

შედეგ სათანადო პროგრამა.

— როგორ იყო ეს პროგრამა. როგორ შეიძლება ასე სწრაფად — 24 საათის განმავლობაში ასეთი პროგრამის განხორციელება? ეს ხომ დიდ დროს თხოვლობს?

— დიახ, როგორც ვთხარით კვირეები, ზოგჯერ თვეებიც კია საჭირო, რომ ასეთი პროექტი განხორციელდეს. არადა, 24 საათიც არ იყო დარჩენილი. ოჯახი კვირს, საღამოს 18 საათზე შეუდგა სამზადისს, რათა ორშაბათს 16:30 სათზე დაწყებულიყო ცერემონია. უნდა გადაწყვეტილიყო რამდენიმე საკითხი: უნდა შერჩეულიყო სეფერ-თორა, უნდა შედგენილიყო მოსაწვევ სტუმართა სია, საჭირო იყო ავტობუსების, მსუბუქი მანქანების დაქირავება, სეფერ-თორის შალითისა და ნარნერის გამზადება, მოწვეულ სტუმართა საპასპორტო ნომრების ჩანერა და სამხედრო ბაზისათვის გადაცემა, რათა გამზადებულიყო სამუცი, ცერემონიის პროგრამის შედგენა, კონგადაღება, ფოტოგადაღება, პრესა.

გია ელაშვილმა საორგანიზაციო საკითხები სამ წაწილად გაჰყო: რელიგიური საკითხები დაეწალა ხახამ სიმონს, ისრაელის არმიასთან მოსაგვარებელი საკითხები ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა, სტუმრების მოწვევა, სხვა საჭირო, აუცილებელი საკითხების მოგვარება გიამ თავის თავზე აიღო.

— **თქვენ ალბათ, მკაფიო და მკაცრი გრაფიკი შემუშავეთ?**

— რასაკვირველია. უნდა გითხრათ, რომ იმ დღეს სასწავლო მოხდა. ყველაფერი არა ერთ დღეში, რამდენიმე საათში გაკეთდა. და ეს ხდებოდა ისრაელის ერთ-ერთ საიდუმლო სამხედრო ობიექტზე. ღვთის შეწევნით, ყველაფერი უმალეს დონეზე ჩატარდა. სტუმრებიცა და მასპინძლებიც შთაგონებული იყვნენ იმით, რომ ბაზაზე ერთდროულად



ელაშვილების ოჯახი სეფერ-თორის შებრძანებისას — ცენტრში — ნანი მოძღვრისვილი - ელაშვილისა



# საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

## ბაით ქნახეთის რესტავრაცია თითქმის დასრულებულია

„მენორა“ უკვე უამბობდა მკითხველს აშკენაზური ბაით ქნახეთის — თბილისის ერთ-ერთი უძველესი სინაგოგის რესტავრაციის თაობაზე. სარესტავრაციო სამუშაოები ბოლო ეტაპზეა — წარმატებით აღწევს დასასრულ მიზანს. ამის კიდევ ერთხელ შესამოწმებლად და დასადასტურებლად თბილისში ევრაზიის ებრაული კონგრესის წარმომადგენლები: გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი და ბ-ნი რომან სპექტორი ჩამობრძანდნენ. ჩვენ გავესაუბრეთ მათ და ვთხოვეთ უფრო დანვრძღვები ეამბნათ მიმდინარე რეკონსტრუქცია.



### ბ-ნი იოსებ, რა ეტაპზეა ახლა სინაგოგის მშენებლობა და რა არის დაგეგმილი მისი გახსნის დღეს?

**იოსებ ზისელსი:** — სინაგოგის სამშენებლო, სარესტავრაციო სამუშაოები ფაქტიურად დასრულებულია. ახლა მიმდინარეობს ცალკეული, უკანასკნელი დეტალების დამუშავება — ისეთისა, როგორიცაა დიზაინი, ავეჯის დამზადება და სხვა... ჩვენი ჩამ-ოსვლის მიზანიც, სწორედ სადღესასწაულო სამზადისა და სინაგოგის გახსნის ცერემონიაზე უკავშირდება. სინაგოგის გახსნის ცერემონიაზე ბევრ სტუმარს ველოდებით, ესენი იქნებიან აუცილებლად ქართველი ებრაელები და ქართველებიც, პარლამენტის, მთავრობის წევრები, ის ადამიანები, ვინც სინაგოგის რეკონსტრუქციაში მონაწილეობდნენ. აგრეთვე ველოდებით უცხოელ სტუმრებს ისრაელიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ევროპის ქვეყნებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აშკენაზი ებრაელების ძალიან მცირე ნაწილი ცხოვრობს და ეს სინაგოგაც სწორედ აშკენაზურია, მე ვვარაუდობ, რომ ის გააერთიანებს ყველა ებრაელს.

მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივმა ქართველებმაც დიდი როლი ითამაშეს სინაგოგის როგორც სამშენებლო, ასევე იურიდიულ საკითხებში. მათ 25 წლის ივარით გადასცეს ეს ტერიტორია საქართველოს ებრაულ თემს.

### სალოცავის გარდა, კიდევ რა განთავსდება სინაგოგაში და რა ხარჯებთან არის დაკავშირებული საერთოდ, მისი რეკონსტრუქცია?

— სინაგოგა, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რიტუალური ადგილია და მთავარი აქ რასაკვირველია, ლოცვაა. სალოცავის გარდა კი მასში განთავსდება სხვადასხვა დანიშნულების ავეჯი, თორის გრაგნილების საცავი, ნიკვე, II სართულზე განთავსებული სავარძლები ქალებისათვის, აგრეთვე ნიგნების თაროები და ა.შ. ხოლო რაც შეეხება თანხას, რომელიც დაიხარჯა სინაგოგის რესტავრაციაზე, აღმოჩნდა საკმარისი იმისათ-

### გახსნის ცერემონიალისათვის?

— რომან სპექტორი: უპირველეს ყოვლისა, ეს ორგანიზაცია გახლავთ ევრაზიის ებრაული კონგრესის და სპონსორთა ჯგუფი ალექსანდრე მაშკევიჩის, დავით იაკობაშვილის, დავით იაკობაშვილის და თემურ საპიროს სახით. აგრეთვე გარკვეული დახმარება გამოიჩინა საქართველოს ებრაელთა კონგრესმა, გაბრიელ მირელაშვილმა, თუმცა, ფაქტობრივად ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ალექსანდრე მაშკევიჩს მიუძღვის.

სამშენებლო და ძირითადი სამუშაოები ფაქტიურად დასრულებულია, დარჩენილია, ავი ვთქვათ, ბოლო შტრიხები და სექტემბერში დაგეგმილია მისი გახსნა.

სინაგოგა უკვე შეცვლილი და განახლებულია როგორც გარედან, ასევე შიგნიდანაც. იმის პირობაა, რომ ადამიანებმა იქ ილოცონ და შეისწავლონ თორა.

უკვე მიმდინარეობს სერიოზული სამზადისი სინაგოგის გახსნისათვის და ვვარაუდობთ, რომ ამ ცერემონიაში ძალიან ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის იქნება ქ. თბილისის მერიც ბ-ნი გიგი უგულავა, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა სინაგოგის რეკონსტრუქციის იურიდიული, ანუ 25 წლის ივარით გადმოცემის საკითხში. რასაკვირველია, ამ საქმის წამომწყები და ინიციატორი საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი იქნება ერთ-ერთი მასპინძელი ამ დღესასწაულზე, რადგან ველოდებით სხვადასხვა ბიზნესმენებს, ალექსანდრე მაშკევიჩის მეგობრებს, მთავრობის წევრებს და ებრაულ სათვისტომოს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ მოხდება სხვადასხვა წარმომავლობის ებრაელების დაახლოება. დაგეგმილია ჯერ ქართველ-ებრაელთა სვლა, ხოლო შემდეგ აშკენაზები შეაბრძანებენ თორის გრაგნილებს. სინაგოგის გახსნას დაესწრებიან აგრეთვე ებრაელი ურნალისტები. ჩვენ ვვგეგმავთ ვაჩვენოთ მათ ამ მშენიერი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და გავაცნოთ აქაური ებრაელობა. იქნება სხვადასხვა სახის საჩუქრები და კიდევ ბევრი საინტერესო რამ. ეს რაც შეეხება მსვლელობას, გახსნის ცერემონიალს, ხოლო ჩვენს აქ ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მოხარულნი ვართ, რადგან კვლავაც გვინერვს საქართველოში ყოფნა. ძალიან გვიყვარს თქვენი დედაქალაქი და ყოველთვის სიამოვნებით ვსტუმრობთ მას.

## პენიონი ზნიდსკის გახსნა



მათ. მას განხორციელებული აქვს არაერთი წარმატებული პროექტი, გაუმართავს სხვადასხვა საინტერესო გამოფენები და პრეზენტაციები.

სალამოს წარუძღვა ებრაული სააგენტოს ადმინისტრაციის დირექტორი საქართველოს წარმომადგენლობაში ირინა მარდახიაშვილი, მან აგრეთვე დიდი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა ბ-ნი გრეგორზე, მის მიუღწეველზე, მათს ღვაწლზე. „სოხნუთის“ მთელი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ბ-ნი გრეგორის ერთად გატარებული სამი წლისათვის და აღნიშნა, რომ ძალიან გაუჭირდებოდათ მის გარეშე საქმიანობა. შემდეგ მან სიტყვა გადასცა გამომსვლელებს იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი ჰქონდათ ბ-ნი გრეგორის პირადად დამშვიდობებოდნენ.

თბილი სიტყვებითა და სხვადასხვაგვარი სამახსოვრო საჩუქრებით ბ-ნი გრეგორი ბროდსკის მიმართეს: „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორმა რეზო შათაშვილმა, რადიო „ჯაკოს“ ხელმძღვანელმა ჯამლეტ ხუბაშვილმა, „ჯონის“ წარმომადგენელმა საქართველოში ირინა რიბსკიმ, მხატვარმა ნინო ზაალიშვილმა, ებრაისტმა თამარ მახარაშვილმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ, ხელოვნებათმცოდნე ლელა წინუაშვილმა, ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორმა ზაირა დავარაშვილმა, ლაშა მაჭავარიანმა.

გამოსამშვიდობებელ სალამოზე ისრაელის საელჩოს კონსულმა ქ-ნი მიხაელ გალიმ თქვა:

ბ-ნი გრეგორი ყველაფერი, რაც ითქვა, დარწმუნებული ვარ დამსახურებულად მოისმინეთ ეს ყველაფერი კი მოდიოდა ამ თემის, ამ ხალხის გულის სიღრმეიდან, რომლის ნაწილიც წლების მანძილზე თქვენ იყავით. ეს კი მეტყველებს თქვენს პროფესიონალიზმზე, შრომაზე და იმ კავშირებზე რომლებიც თქვენ დაამყარეთ.

აქ ისიც ითქვა, რომ საქართველოს გაუჭირდება თქვენაირ ადამიანთან განშორება, მაგრამ მე მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ისრაელი ელოდება ისეთ მნიშვნელოვან პიროვნებას,

## „მაკაბიადის“ ოქროს და ბრინჯაოს მედეები

როგორც უკვე ვიწყებოდით, ისრაელში ჩატარდა მსოფლიო მაკაბიადი, რომელშიც 67 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. საქართველოდან არასაკმარისი დაფინანსების გამო მხოლოდ კარატისტები იყვნენ წარმოდგენილნი. თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწია **ლევან გორელაშვილმა**. 75 კგ. წონით კატეგორიაში. იგი გახდა ოქროს მედლის მფლობელი, ხოლო დავით აბრამიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა — 85 კგ. წონით კატეგორიაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ლევან გორელაშვილმა სულ 12 ბრძოლა ჩაატარა გუნდურის ჩათვლით და თორმეტივე



მოიგო. 7 ბრძოლა პირადული გახლდათ, აქედან ორი დროის გასვლის შედეგად, დანარჩენი 5 კი სუფთად მოიგო. ფინალი სუფთად, 11:3 დაასრულა. მან გარდა ოქროს მედლისა, ბრინჯაოც მოიპოვა. ასევე ბრინჯაოს მედალი მიიღო კახა ბასილიამ.

საქართველოში მაკაბიადიდან ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაბრუნებული ლევან გორელაშვილი 11 აგვისტოს იაპონიაში „ვეესკაიდის“ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა. ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ მას და ვიმედოვნებთ, რომ ლევანი კვლავ კარგი შედეგებით დაგვიბრუნდება.

### გახსოვნი:

„მენორას“ წინა ნომერში რეპორტაჟში „წინის პრეზენტაცია“ გამომსვლელთა შორის გამოჩენილია საქართველოში „ჯონის“ ყოფილი წარმომადგენლის **მეირ ზიზოვის** გვარი ხოლო მე-8 გვერდზე კროსკორდის შემდგენელი უნდა იკითხებოდეს **არპადი ქსრჩიშვილი**.

რას ვპირობდით  
ამ კვირასში?  
რუბრიკას უძღვება  
საქართველოს მთავარი რაზონი  
**არიელ ლეჟინი**



“მხოლოდ ძალიან შეეცადე არ მიირთვა სისხლი, . . . არ მიირთვა, რომ კარგად იყო შენ”. გემარაში “მაქოთ” ნათქვამია რაბი შიმონ ბენ რაბის მიერ თუ ადამიანი არ მიირთმევს სისხლს, რომელიც ჩვეულებრივ ეზიზღება, და ამისათვის ღებულობს ჯილდოს, მაშინ იმისათვის რომ ის არ ქურდობს ან არ მრუშობს, რომელთაკენაც ჩვეულებრივ ადამიანი მიიღებს, ღებულობს ჯილდოს ისიც და მისი შთამომავალიც. ეს

# რაეი

კარგად ჩანს იოსებისა და მისი შთამომავლების შემთხვევაში. მათზე არ ვრცელდება “აინ ჰარა” იმის გამო, რომ იოსები არ აჰყვამოტიფარის მეუღლის გამოწვევას.  
გემარა “კიდუშინი” მოგვითხრობს რაბი კატანაზე, რომელიც ვაჭრობდა ქალის მოსართავებით. ერთხელ ის მივიდა მატრონიტასთან, რომელმაც მოისურვა მისთან მრუშობა. რაბი კატანამ უთხრა: “ნავალ და მოვირთვები”. ამის შემდეგ ავიდა სახურავზე და დაიყვინძა. მოვიდა ელიაჰუ ჰანავი და გადარჩინა, რათა თავი არ მოეკლა და უთხრა: “შენ მაიძულე მეფრინა შენამდე 400 პარსის მანძილზე (1200 კმ), რათა გადამერჩინე. უპასუხა რაბი კატანამ: “ყველაფერი ეს ჩემი სიღარიბის ბრალია”. მისცა ელიაჰუ ჰანავიმ მას ოქროს მონეტები. ასე, რომ იმისათვის, რომ რაბი კატანამ შეძლო თავისი “იეცერ ჰარას” დაძლევა, სიცოცხლეშივე მიიღო ჯილდოდ სიმდიდრე.  
გემარაში “ნედარიმ” მოთხრობილია რაბი აკივას შესახებ. ის ყოველთვის ჯობნიდა რომის წარმომადგენელს ტორნოს როფოსს კამათში. ერთხელ ტორნოს როფოსი სახლში გაბრაზებული მივიდა. ცოლმა უთხრა: “მათ გამჩენს არ უყვარს გარყვნილება. მომეცი ნება შევაცდინო ის

და ვავნო (ისევე, როგორც ეს მოხდა არისტოტელეს შემთხვევაში)”. ეს ქალი ძალიან ლამაზი იყო. მივიდა რაბი აკივასთან და გაიშვილა კანჭი. მის დაწახვისას რაბი აკივამ გადააფურთხა, გაიციანა და ატირდა. ჰკითხა ქალმა: “რატომ?” “ორ კითხვაზე გიპასუხებ, მესამეზე კი ვერა. იმიტომ გადააფურთხე, რომ შენ მოხვედი ადგილიდან რასაც უწოდებენ “ტიფა სრუხას” (“საზიზღარი წვეთი”). ვტიროდი შენს სილამაზეზე, რომელიც მინამში უნდა ჩავიდეს. რატომ ვეცინოდი ვერ გეტყვი.” რაბი რანი გვიხსნის, რომ მან “რუახ ჰაკოდეში” (წინასწარმეტყველურად) დაინახა, რომ ეს ქალი გიურს მიიღებდა და მისი მეუღლე გახდებოდა და არ სურდა ამის თქმა. ქალმა ჰკითხა: “მაქვს მე გზა ებრაელობისაკენ?” მან უპასუხა, რომ ჰქონდა ასეთი გზა. ქალმა ებრაელობა მიიღო, გაჰყვია ცოლად რაბი აკივას და თან სიმდიდრე მოუტანა მას.  
გემარა კიდევ მოგვითხრობს ერთ ადამიანზე, რომელიც სულ ციციტით დადიოდა. ის მივიდა ქალთან, რომელიც 400 ოქროს იღებდა სამსახურში. მას ჰქონდა 6 ვერცხლისა და ერთი ოქროს ლეიბი. როცა ებრაელმა ლოგინზე ასვლა დააპირა, ციციტის ძაფები გაერთიანდნენ და სახემი მისცხეს. ის მაშინვე დაბლა ჩამოვიდა. ქალიც ჩამოყვია და რომის მეფის სახელი დააფიცა იმისათვის რომ გაეგო თუ რა ხინჯი უპოვია მას. ებრაელმა უთხრა, რომ მასზე ლამაზი

ქალი ჯერ არ ენახა, მაგრამ თორაში ციციტის მიცვის დაცვის ფარამაში ორჯერ წერია “მე ვარ გამჩენი, ღმ-რთი თქვენი”. ერთხელ ის მიგვანიშნებს ბოროტმოქმედთა სასჯელზე, ხოლო მეორედ – წმინდანთათვის ჯილდოზე. ციციტის ძაფებისაგან მე მივიღე გაფრთხილება ისევე, როგორც 4 მოწმისაგან და ამიტომაც გავედი განზე. ალმა უთხრა, არ მოგეშვები სანამ არ მეტყვი ქალაქს, სადაც ცხოვრობ, შენი რაბინისა და ბეთი მიდრამის სახელზე. ებრაელმა მისცა თავისი კოორდინატები და წავიდა. ქალმა გაყო თავისი ქონება – მესამედი სახელმწიფოს მისცა, რათა არ შენინაღმდეგებოდნენ მას გიურის მიღებაში, მესამედი ღარიბებს გაუნანოდა და მესამედი რაბი ხიას ბეთი ჰამიდრამში წაიყოლა. იქ მან გიურის მიღება დაიწყო. რაბი ხია მიხვდა, რომ ეს ქალი მასთან სუფთა გულით მივიდა და მისცა გიური. მალე ის გაჰყვია ცოლად ახალგაზრდა თალმიდს და აკრძალული ხილი კანონიერი გზით მიიღო.  
საუბარი იყო ამქვეყნიურ ჯილდოებზე იმ ადამიანთათვის, ვინც შეძლო ცდუნების თავიდან აცილება. თუ რას მიიღებს ადამიანი ზეციურ სამყაროში, ამის წარმოდგენა შეუძლებელია. სწორ გზაზე სიარულისათვის გამჩენს მზადა აქვს ამქვეყნიური და მომავალი სამყაროს ჯილდოები ისევე, როგორც ეს დაიმსახურეს რაბი აკივამ და რაბი ხიას თალმიდმა.

## ამირან მიხელაშვილი

### ჯემალ მიქელაძე

*„დიდი კულაშელი“ ასე ვუნოდე ერთხელ ჯემალ მიქელაძეს. კაცს რომელსაც საქართველოში ბევრი იცნობს. ჯერ კომკავშირულ სამუშაოზე იყო, მერე აჭარის ასსრ შს მინისტრი, საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალი ერთხანობას საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანიც გახლდათ. ეს მისი ნამსახურების სიაა, კაცური ღირსება კი ბოლო წლებში დაწერილ წიგნებში გამოჩნდა – ჯერ იყო და ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა თავის ცხოვრებაზე, იმ გზაზე, რომელიც გაიარა. ამ ბოლო თვეებში კი „მეგობართა პორტრეტები“ გამოსცა, ის, ვინც ამ წიგნებს გაეცნობა, დაინახავს რაოდენ ღირსეულ ცხოვრებას ეწოდა მისი ავტორი, რაოდენ საინტერესო ადამიანები იყვნენ მის ირგვლივ შემოკრებილი.  
იმ წლებში, როცა ჯემალ მიქელაძე ქ.თბილისის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობდა, მერე კი შს მინისტრის პირველი მოადგილე იყო, მილიციის მუშაკთა დიდ ნაწილს ძალიან „უყვარდა“ ამ უწყებაში ებრაელთა მიყვანა-გამოძახება, „ყურით მიორევდა“ და მე არ მახსოვს ერთი შემთხვევა კი ბ-ნი ჯემალისათვის მეთხოვნის ყურადღებით მოჰკიდებოდა ამათუ იმ ებრაელის საქმეს და მას უარი ეთქვას. მისი ყურადღება კი იმით მთავრდებოდა, რომ ეს ებრაელი ემაყოფილი და ბედნიერი იყო. ამით ის არ მინდა ვთქვა, რომ ჯემალ მიქელაძე ჩემი თხოვნით კანონს არღვევდა, არა, სულაც არა! საქმით მისი დაინტერესება ხშირად იმის გარანტი იყო, რომ ამათუიმ ებრაელისათვის საქმე ტყუილ-უბრალოდ არ „შეიკერათ“.  
ბ-ნი ჯემალის წლების განმავლობაში გახლდათ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, იგი ყოველთვის მეგობრობდა საქართველოს ებრაელობის ცალკეულ წარმომადგენლებთან. ამის დასტური გახლავთ წიგნის ერთ-ერთი თავი — „ბავშვობის და სიჭაბუკის მონატრება“, რომელიც ქართველი ებრაელობის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, დღეს მოსკოვში მცხოვრებ, ამირან მიხელაშვილს ეძღვნება.*

*გურამ ბათიაშვილი*

ულეზასა და ქართველი ერის ერთგულებაში შექტანოს ეჭვი.  
ცხოვრებაში ჯან-ლონითა და ენერგიით აღსავსე ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი, რომელიც გარემომყოფთა აზრით, სიცოცხლეს ასახიერებს, თავისებურად აფასებს ამ უმთავრეს, შეუდარებელ ფენომენს, „სიცოცხლე თვითონ კარნახობს კანონებს, ის არის მეფეც და სიმათლის მსაჯულიც, მზესაც ის აბრუნებს, სიყვარულს აჩოქებს, სადაც რომ არ იყოს, რა რწმენის, რა სჯულის.“  
იშვიათი ზნეობრივი და ფიზიკური ძალის მქონე ეს დიდძალოვანი და დიდსულოვანი კაცი პირველი შეხვედრისთანავე ხიბლავს შემხვედრს და ისინიც შემდგომ მისი განუყრელი მეგობრები ხდებიან.  
ამირანი ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის დაუწინებარ დღეებს მავონებს. უნდა გამოგიტყდეთ, როცა კი შეხვედები მას, და ეს არც თუ ისე ხშირად ხდება (ამირანი მოსკოვში ცხოვრობს, აგერ უკვე, 20 წელიწადია) ალტაცება და გამოუთქმელი სიხარული მიჰყრობს.  
მეუფლება ის მონატრების გრძნობა, რაც თან ახლავს ბავშვობის მეგობრის ხილვას, თვალწინ მიდგას ერთად გატარებული სიხარულით სავსე დღეები, რომელთა ამომსაღაც მესხიერებიდან შეუძლებელია.  
ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე ერთად მოვდივართ. ამ თვალწინა დიდი, ლამაზი კაცის ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა. ერთი ჩვენი სულგანათებული პოეტისა არ იყოს, შევებერდი და შემომაბერდა.  
ამირანი, სადაც კი გამოჩნდებოდა, ბუნებრივია, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, ან პირიქით. ხშირად ჩვენი გვარებიც კი ერეოდათ ერთმანეთში.  
მასხოვს ერთ არაჩვეულებრივ ოჯახში მოგვხვდით ნვეულებზე. მასპინძლები თავს გვევლებოდნენ. დიასახლისმა სინით შემწვარი გოჭი მომართვა და მთხოვა, გადამელო. მე უარი განვუცხადე იმ მოტივით, რომ კულაშელი ვიყავი.  
– რა გვარის ბრძანდებთ? – მკითხა მორიდებით.  
– მიხელაშვილი გახლავართ, – ვუპასუხე დიმილით.  
– მაშინ ის ახალგაზრდა რა გვარია? – მიმანიშნა ამირანზე, რომელიც, ქეიფის ეშში შესული ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.  
ამირანმა მოჰკრა რა ყური ჩვენს ლაპარაკს, ამყად მიუგო – მიქელაძე ვარ, ჩემო ბატონო!  
ჩვენი ურთიერთობა და ოჯახებით სიახლოვე გვაძლევდა იმის საფუძველს, რომ ასე გვეპასუხა იმ ღვთისწინური ქალბატონისთვის, ვინც ჩვენს გამასპინძლებას თაობდა.  
თავად ამირანი ხომ სტუმრისთვისაა დაბადებული. მთავარანგელოზივით იცის სუფრის გაძღოლა, ღვინოს არ დააძალებს კაცს, პატარა სასმისებით სთავაზობს სასმელს, დაბრავისლური სიტყვა-პასუხით, იუმორშეზავებული სადღევარქლოებით ხიბლავს ყველას.  
ჩვენ ძალიან ბევრი მოსაგონარი გვაქვს საერთო და საამაყო.  
მარტო ის რად ღირს, რომ ამირანის მამა – ისააკ მიხელაშვილი და მამაჩემი მეგობრობდნენ და ქართველი კაცისთვის ამ აღმატებულ გრძნობას პატივს სცემდნენ და უფრთხილდებოდნენ.  
არის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მოკრძალებული, უპრეტენზიო ცხოვრებით



## სასწავლო წლის დასასრულს

საგანმანათლებლო ცენტრმა „თიფერეთ ცვიმ“ და კლუბმა-ქოლელმა „მიმფახამ“

(ხელმძღვანელები აპარონ და დაიანა მდინარაძეები) სასწავლო წელი დაამთავრა სემინარების სერიით აჭარის ერთ-ერთ უღამაზეს კუთხეში - მწვანე კონცხზე.



ქქონდათ უმარავი დაუვიწყარი წუთი-განსაკუთრებით მარაც ლევისის საკუთარი სიმღერები და ექსპრომტები ქართულ ენაზე.

ამ სემინარების და კლუბ „მიმფახასთან“ არსებულ კლუბ „დერეხ შალომის“ მოღვაწეობის შედეგად მომავალი წლიდან 10 ბიჭი და გოგო სწავლას გააგრძელებს ისრაელის სკოლებში, სხვადასხვა პროგრამით.

ეს ციკლი დაავიწყდება სემინარმა ებრაული წყვილებისთვის, თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან, თუმცა „ოჯახური სინმინდე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავარმა რაბინმა რაბი არიელ ლევიმმა, საგანმანათლებლო ცენტრ „თიფერეთ ცვიმ“ ხელმძღვანელმა რაბი ავიმელემ როზენბლატმა მეუღლით, ამერიკული ფონდის „ვაად ლა აცალას“ ხელმძღვანელმა რაბი ნოინშტადმა, ისრაელის იემვის „შეუტ ამის“ მამიბახამ რავ ბაუმმა და პირველად საქართველოში რაბი იცხა ზილბერის ზ"ლ" ქალიშვილმა — რაბანი ხავა კუპერმანმა და მისმა ქმარმა ცნობილმა კანტორმა რაბი ავრაჰამ კუპერმანმა. სემინარზე სუფევდა განუმეორებელი აურა და საუცხოო ატმოსფერო.

პირველი სემინარი ყმანცილებისთვის ჩატარდა ერთობლივად ისრაელის სკოლა „ლაციონ ბერინასთან“ ერთად, სადაც სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად საპატიო სტუმრად მოწვეული იყო რაბი ხაიმ ქოენი-იშვილი, რომელმაც თავი ემიანარის მონაწილეებს დაამახსოვრა არა მარტო სანიტერის ლექციებით, არამედ გიტარაზე ვირტოზული დაკვრით და მშვენიერი სიმღერებით. მეორე სემინარი გოგონებისთვის ჩატარდა ისრაელის სკოლა „ბეთ ულპანასთან“ ერთად, სადაც აგრეთვე იყვნენ სპეციალური სტუმრები - რაბი ლევ გდალვეიჩი მეუღლით და რაბი მარატ ლევიჩი მეუღლით, სემინარის მონაწილეებს უმაღლესი ზნეობისა და კეთილშობილების, მეგობრობის დიდებული ნიმუშები შექმნეს და სამაგალითოდ დაუტოვეს მომავალ თაობებს.

ისინი არასოდეს ყოფილან „ჩინოვნიკები“, არც მალაქი რეგალიები და ჯილდოები ჰქონიათ, მაგრამ დიდი მამულიშვილები და ჭეშმარიტი ინტელიგენტები, სულით სპეტაკნი, სამდვილი რაინდები იყვნენ. წარუდ ასეთი უმნიშვნლო და კეთილშობილი, დარბაისი უპირველესად იყო ბიძა ისააკი, ბუმბერაზი ადამიანი, საოცრად სათუთი, ბავშვით სუფთა და ალალი. მისთვის სრულიად უცხო და წარმოუდგენელი იყო სიცრუე, ლაღატი და ორპირობა. არავის ახსოვს გაბრაზებული და მით უფრო გაბოროტებული.

გულწრფელად უყვარდა ადამიანები, განსაკუთრებით კი თავისი მეგობრები, მათი სიყვარულითა და ერთგულებით სუნთქავდა. აღმერთებდა თავის სამშობლოს - საქართველოს, მის წარსულსა და ტრადიციებს.

1931 წელს ისააკ მიხელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ყროლობაზე, დასავლეთ საქართველოს ლარიბკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

27 წლის ახალგაზრდამ მთელი თავისი ძალა და ენერჯია ხალხის სამსახურსა და მათ კეთილდღეობას შეალოა.

სამაგალითო შიღვები აღზარდა. მზრუნველი მამა მათ ადამიანების სიყვარულს ასწავლიდა და შთაუწერავდა ყველა კეთილშობილურ გრძნობას, რომლის გვირგვინადაც სიკეთესა და პატიოსნებას მიიჩნევდა.

ასწავლიდა ოცნებას იმ სამშობლოზე, რომელიც არც ერთს არ ენახა. ხშირად ეუბნებოდა შვილებს: - თქვენ ხართ ნაყოფი ებრაელთა ტომისა! იმ ეրისა, რომლებმაც ათეული საუკუნეები იცხოვრა სამშობლოს გარეთ, რადგან დავკარგეთ ის ალექსანდრიის მინა, რასაც სამშობლო ჰქვია, იმ ხალხისა, რომელიც იძულებით გაიფანტა დედამიწის ზურგზე და რაც სახელმწიფოებში განიცადა დევნა, სიძულვილი, უმიზეზოდ სიკვდილით დასჯა.

ჩვენ ამას გაუთქვლით და მოვედით დღემდე, გადავარჩინა სიყვარულმა ერთ-მანეთისა და ადამიანების მიმართ. ჩვენ მოვდივართ უმშვენიერესი წიაღიდან, რომელშიც ადრე თუ გვიან, უნდა დავბრუნდეთ, და სანამ დავბრუნდებით, რომელ მინაზედაც მოგვიბედება ფეხის დადგმა, იქ სიკეთე უნდა

დავტოვოთ, რადგან უკან მადლი მოგვდევს და არა წყევლა.

მამის ეს შეგონება დღესაც ასაზრდოვებს ამირანს, ფანიას, ეთერს და უკვალავს სავალს, დედის ლოცვა კი ტკბილ ნანასავით გაჟღერდება ჩაესმით ყურში და მომავალს უსხვივსებთ.

ისააკ მიხელაშვილისა და მამიჩემის მეგობრობაზე ლევანდები დადიოდა. რც ერთის ოჯახში არ შეისმებოდა სასმისი, მეორე რომ არ ყოფილიყო იქ. დიდი სამეგობრო ჰყავდათ და მთელ დასავლეთს იყვნენ მოდებულნი. ისააკის სახელი მონიწიებითა და პატივისცემით ახსენებდა ყველა.

ოჯახიც რომ სამაგალითო ჰქონდა, მეუღლე - მარო, ჩემი მარო დეიდა, უსათნოეი და უკეთილშობილესი ქალბატონი, ყველას დამხვდური და დამპურებელი. უხაროდა სტუმრის დანახვა, ხელგამოლოლი, მომღიმარი სახით შეეგებებოდა და სახლში შეიპატივებდა.

მიყვარდა მიხელაშვილების ოჯახში მისვლა, არნახული სითბოთი მხვდებოდა ეს მადლიანი წყვილი, თავზე გადაკვდომა იცოდა.

არც იყო გასაკვირი, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია ოდიტანვე ძეგლ-რბილში ჰქონდათ გამყდარი. ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობა სამაგალითო იყო ყველასთვის.

ჩემი დიდი ბაბუსი ოჯახი ახლოს ყოფილა ისაკ ბიძიას წინაპრებთან. ეს კეთილგანწყობა უფრო მეტად გააღრმავეს შთამომავლებმა, ამის დატყურით ხომ ჩემი და ამირანის ურთიერთდამოკიდებულება.

ამირანი და მისი მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ნაზი, წინაპრების მაგალითზე ზრდიან შვილებს, მშობლების ფუძეს უფრთხილდებიან და კერძის არ აცივებენ. მათი სახლის კარი ყველასთვის ღიაა, სტუმარს საკადრი-სად ხვდებიან.

ყველა სიკეთესთან ერთად, ამირანი დიდი ქველმოქმედა. მისი ძალიანსხვეით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. 2005 წლის სექტემბერში, ამირანის თაოსნობით, პირველად ჩატარდა უდიდესი სახალხო ზეიმი „კულაშობა“, სადაც საპატიო კულაშების წოდება მიენიჭათ: თანამედროვეობის უდიდეს რეჟისორს - რობერტ სტურუას, მწერალსა და დრამატურგს - გურამ ბათიაშვილს, ისრაელის ელჩს

რო, განსაკუთრებით აღსანიშნავია სემინარის დამავიწყებელი საღამო-რაბი არიელ ლევისის სიმღერებით, ვიოლინოს მელიოდებით და ქაშერი ცეკვებით(კაცები და ქალები ცალ-ცალკე) ებრაული და ქართული მუსიკის თანხლებით, დილის 5 საათამდე. მისმა თითქმის ყველა მონაწილემ აიღო თავის თავზე ვალდებულება დაიცვას ებრაული ოჯახის სინმინდის განუმეორებელი წესი, მით უმეტეს, რომ მათ ექნებათ ამის შესაძლებლობა თბილისის განახლებულ მიკვესში, რომლის რემონტიც შეესაბამება ყველა თანამედროვე სტანდარტს.

აგრეთვე გვიანდა გაცნობოთ რომ კლუბმა-ქოლელმა „მიმფახამ“ გახსნა საიტი WWW.MISHPACHA-TBILISI.COM, სადაც შაბათის სასთლებს, დღესასწაულებს, თაყანიებებს დროებებს, ათასწლოვან ებრაულ კალენდართან ერთად არის კლუბის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები და რაც მთავარია, საშუალება გადმოიწეროთ და მოისმინოთ თორის ფარაშების კომენტარი ქართულ ენაზე, გელოდებით ჩვენ საიტზე და ჩვენს გაკვეთილებზე.



### ნინო შათაშვილი

ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც ძალიან უყვარდა სიცოცხლე, ენერჯითა და ხალხით იყო სავსე. სწორედ ასეთი იყო ნინო შათაშვილი. იგი უღალატო მეგობარი, თანამშრომელი, საქმის ერთგული და ყოველთვის წარმატებებისაკენ მიმავალი სიკვდილთან მამაც და მარცხდა.

წელს მისი თანამშრომლები და მეგობრები პირველად აღნიშნავენ ნინიკოს გარეშე მის დაბადების დღეს და თითოეული მათგანი დაუნთებს სასთებს, რომელთა შუქიც გაუნათებს გზას სასუფეველში.

ნინო შათაშვილი, მაღალი დონის პროფესიონალი, მეტროლო სულის მქონე ადამიანი, უმურველად გასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას - ასეთი ემახსოვრებათ იგი თანამშრომლებს.

ნინიკო, დაე მსუბუქი იყოს შენთვის ისრაელის წმინდა მიწა!

”ხესედ ელიაჰუ“-ს თანამშრომლები.

საქველმოქმედო ცენტრის "ხესედ ელიაჰუს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა ხესედის ყოფილი თანამშრომელი, საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნინო გუმბაშვილი სასული შათაშვილი და სამძიმარის უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებს.

“ხესედ ელიაჰუ“-ს დირექტორი და თანამშრომელი.

**დამფუძნებელი და გამომცემელი:**  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30  
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

**რეგისტრირებულია**  
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რეგისტრაციის № 4/1-921

**რედაქტორი**  
გურამ ბათიაშვილი

